პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 189 (19031) პარასკევი, 17 აგვისტო, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა მხარდამხარ

დამკვრელურად შრომობს ამ დღეებში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი. განსაკუთრებით გამოირჩევიან ექსპერიმენტული საამქროს მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადის წევრები ელექტროშემდუღებელი დავით გერმანოზიშვილი და ზეინკალი ილია შოშიაშვილი, რომლებიც ვლ-15 ახალი ელმავლის აწყობაში მონაწილეობენ. ისინი საგეგმო დავალებებს ყოველდღიურად 110-115 პროცენტით ასრულებენ.

სურათზე: დ. გერმანოზიშვილი და ი. შოშიაშვილი.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ავამაღლოთ ხელმძღვანელობის დონე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა

რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მაღალი მიღწევებით აღინიშნა მიმდინარე წლის შვიდი თვე. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 106 პროცენტი შეადგინა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 167 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,8 პროცენტით, რის ხარჯზეც მიღებულია პროდუქციის საერთო მატების 80 პროცენტი. ეს ციფრები დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე.

მოხსენება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის 1984 წლის შვიდი თვის შესრულების შედეგებისა და მესამე კვარტლის დავალებათა უცილობელი უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

[illegible]

...ხარების საქონლის გამოშვების დავალებანი. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა. ინტენსიურად მიმდინარეობს საკვების დამზადება. კაპიტალური მშენებლობის დარგში შენარჩუნებულია კაპიტალური დაბანდების ათვისების ზრდისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სწრაფი ტემპი, რომელიც სჭარბობს წლისათვის დაგეგმილ მაჩვენებლებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს წარმატებანი და მთავარი ყურადღება მიაპყრეს ნაკლოვანებებს, გადასაჭრელ პრობლემებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საკავშირო დაქვემდებარების ისეთმა დიდმა საწარმოებმა, როგორიც არის საწარმოო გაერთიანებანი „საქნავთობი", „აზოტი", ...

[illegible]

...მოება, მომზადდეს პირუტყვის სადგომები 1984-1985 წლის ზამთრობისათვის, მოეწყოს მოსავლის გადაზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა შეუფერხებელი მუშაობა.

სხდომამ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების, ყველა კომუნისტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ორგანიზებულობა, განმტკიცდეს დისციპლინა და წესრიგი ყველგან და ყველაფერში, უზრუნველყოფილ იქნეს რიტმული, მაღალეფექტიანი მუშაობა, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელება, უცილობლად სრულდებოდეს საგეგმო დავალებანი. მაგრამ რა მომჭირნეობაზე შეიძ...

[illegible]

...გამოიყენონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საშუალება საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლების მისაღწევად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეთა გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო იგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს, პროდუქციის მიწოდებას დარგთაშორისი კოოპერირების წესით, მატერიალური რესურსების ეკონომიის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

გაფართოებულმა სხდომამ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ მესამე კვარტლის, მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმები.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1983-84 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეურნეობის, საბჭოთა მე...

[illegible]

...სათვის, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერების, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში; აგრეთვე მაღალი საბოლოო შედეგების მიღებით მეცხოველეობის...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1983-84 წლების ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბ...

რებაში გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საბატო სიგელებით დააჯილდოვეს:

მოკავშირე

რესპუბლიკები

რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, ესტონეთის სსრ ...

[illegible]

...მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს 1000 კოლექტივი.

აღინიშნა, რომ კარგად იმუშავეს საქართველოს სს რესპუბლიკამ, მოლდავეთის სს რესპუბლიკამ, ლატვიის სს რესპუბლიკამ, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკამ, სომხეთის სს რესპუბლიკამ, თურქმენეთის სს რესპუბლიკამ და ეს...

ტონეთის სს რესპუბლიკამ, კომის ასს რესპუბლიკამ, მარიის ასს რესპუბლიკამ, ნახიჩევანის ასს რესპუბლიკამ და თათრეთის ასს რესპუბლიკამ, ხლესპუბლიკამ ...

[illegible]

...ბის, საბჭოთა მეურნეობის, თითოეული ფერმის რეზერვების უფრო სრულ გამოყენებას ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებაში. მიმდინარე წლის პირობების გათვალისწინებით ყველი ღონე იხმარონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობისათვის

უხეში და წვნიანი საკვების საჭირო მარაგის დასაგროვებლად. დროულად შეაკეთონ საკვები საამქროები, საკვებდამამზადებელი ტექნიკა და უზრუნველყონ მათი შეუფერხებელი მუშაობა, ხარისხიანად მოამზადონ ზამთრისათვის ყველა მეცხოველეობის სადგომი. უფრო მეტად იზრუნონ მეცხოველეობის მუშაკების საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, ...

[illegible]

...სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სკკპ XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრის უზრუნველყოფაში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს 1983-84 წლის ზამთრის პერიოდში პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ...

...ზის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საბატო სიგელებით დააჯილდოვეს:

საქართველოს სს რესპუბლიკაში

1. ...
2. ...
3. ...
4. ...
5. ...

...ნის სახელობის კოლმეურნეობა, გალის რაიონი

6. ხოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობა, ხელვაჩაურის რაიონი
7. სოფელ ხასხოვის ა. ს. პუშკინის სახელობის კოლმეურნეობა, ბოგდანოვკის რაიონი
8. სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, გორის რაიონი
9. ...
10. ...

11. სოფელ ახალხიბულის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, ხონის რაიონი
12. გოორგიწმინდის მელიორების კომპლექსი, საგარეჯოს რაიონი
13. ჭანდარის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონი
14. ირგანჩაის საბჭოთა მეურნეობა, დმანისის რაიონი
15. ...
16. ...
17. ...

დღევანდელი ამოცანა მყიდველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება

საცალო საქონელბრუნვის შვიდი თვის გეგმის შესრულების შედეგების შეჯამებისა და მესამე კვარტლის გეგმის უთუო შესრულების ღონისძიებათა განხილვას ...

[illegible]

დღევანდელ ნომერში:

- პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი (ბანსჯა, გამოცდილება, პრობლემები). (გვ-2 გვ.).
- საქმე და სპეციალისტი — კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი. (გვ-2 გვ.).
- წესი, რიგი და ჩვენ. (გვ-3 გვ.).
- საერთაშორისო ცხოვრების ამბები. (გვ-3 გვ.).
- ქალის ციხე იარებს იმუშებს. (გვ-4 გვ.).
- რუსთაველის თეატრის გასტროლები ციმბირში. (გვ-4 გვ.).
- სპორტული ინფორმაცია. (გვ-4 გვ.).

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

განსჯა, გამოცდილება, პრობლემები

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა მეორე რესპუბლიკურმა კრებამ.

პარტიის ძირეული რგოლების ხელმძღვანელთა ამ დიდი ფორუმის მაღალი ტრიბუნიდან ხაზგასმით აღინიშნა: ფორმა საჭიროა არა ფორმის გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ იგი შეიცავდეს დიდ და სერიოზულ შინაარსს, ხელს უწყობდეს პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მოწინავე გამოცდილების უკეთ გააზრებას, პარტორგანიზაციების უკეთ დარაზმვას უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისათვის.

„კომუნისტის" დღევანდელი ტრადიციული მასალა პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის სწორედ ამ სერიოზულ შინაარსზე მოგვითხრობს, გვაცნობს სასარგებლო თაოსნობებს, აგრეთვე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და მათი აღმოფხვრის ქმედით ღონისძიებებს.

რესპუბლიკური კრების გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები საიმედო ორიენტირია კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისათვის, მასების შემოქმედებითი აქტიურობის შემდგომი განვითარებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილის სრულყოფისათვის.

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ღრმად გავიაზროთ თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა ორი რესპუბლიკური კრების გამოცდილება და გაბედულად დავნერგოთ სიახლეები.

დროით ნაკარნახევი მუშაობის ფორმა

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ავტოქარხნის რაიკომის პირველი მდივანი ს. კურტანიძე „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრება იმ მუშაობის შესახებ, რომელიც რაიონში მიმდინარეობს პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა მეორე რესპუბლიკური კრების გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

— პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა მეორე რესპუბლიკური კრების მიმდინარეობამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურა, რომ შარშან თბილისში გამართული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია განაგრძობს მუშაობას, მაღლდება პარტიის ძირეული რგოლების როლი და ავტორიტეტი, მათი წვლილი მომწიფებული სოციალური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში...

როგორ ვასრულებთ მეორე რესპუბლიკური კრების მოთხოვნებს?

ბა დაიწყო იმით, რომ ადგილობრივი იდეოლოგიური აპარატის საშუალებით თითოეულ მუშას, უშუალო შემსრულებელს გავაცანით ექსპერიმენტის არსი და მნიშვნელობა. შემდეგ მშრომელებს რიტმული და სტაბილური მუშაობის პირობები შევუქმენით. გადამწყვეტი პირობა იყო ისიც, რომ მთელი ეს საქმიანობა პარტიული ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა. ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ ძალიან ძნელად რთული ამოცანა: გადაჭარბებით შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალებები...

ომის სტრიქონები

როცა მომთხოვნელობა მოისუსტებს

ხაშურის რაიონის ფლევის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტი და მინის ქარხნის პარტიული ბიურო გარკვეულ მუშაობას ეწევიან სამქრო პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. პარტიულ კრებებზე...

შარშან ფლევის საბჭოთა მეურნეობის № 3 აგროუბნის პარტიულ ორგანიზაციაში შეიქმნა მეცხოველეობის პარტიული ჯგუფი. ამჟამად ფლევის საბჭოთა მეურნეობაში სამი საუბნო პარტიული ორგანიზაცია და ორი პარტიული ჯგუფია, ხოლო მინის ქარხანაში — რვა საამქრო პარტიული ორგანიზაცია და ოთხი პარტიული ჯგუფი.

ამასთან აღსანიშნავია, ისიც, რომ ფლევის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ კომიტეტს შარშან გეგმით ყველა საუბნო პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესწავლა ჰქონდა გათვალისწინებული, მაგრამ ფაქტობრივად განიხილა მხოლოდ ერთი, და ისიც უხარისხოდ.

...კომუნისტებს განაწილებული აქვთ დავალებები, მაგრამ მათი ანგარიშებს არ ისმენენ...

აშკარად ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს პარტჯგუფების საქმიანობა. ისინი სუსტად იბრძვიან კომუნისტების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, ფორმალიზმის დაძლევისათვის.

პარტიის ხაშურის რაიკომმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა ძირეული რგოლებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მეტი გერგილიანობა, მეტი ცოცხალი საქმე — აი რა გვჭირდება ახლა!

ხაწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" თბილისის ხარემონტო მექანიკური ქარხნის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წლევანდელი 7 თვის საგეგმო დავალებები. ამ წარმატებაში ძალზე დიდია საწარმოს პირველადი პარტორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის წვლილი. სწორედ ისინი უდგანან სათავეში ქარხნის მშრომელებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ წლეულს 15 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი დაამზადონ.

• •

სურათზე: ქარხნის პარტბიუროს წევრები განიხილავენ მიმდინარე წლის მესამე კვარტალის ამოცანებს და სახავენ სამომავლო გეგმებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

კრების როლის ასამაღლებლად

თბილისი („კომუნისტის" კორ.). როგორია პარტიული კრებების როლი და დანიშნულება ყოველი პირველადი პარტორგანიზაციის ცხოვრებაში, რა არის საჭირო ამ მხრივ არსებული დიდებითი გამოცდილების ფართოდ გავრცელება-დანერგვისა და ნაკ...

მიკული და № 3 სავეჯე კომბინატების პირველადი პარტორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკის შესახებ.

შარშანდელთან შედარებით 2 პროცენტით მეტი კომუნისტი გამოვიდა, უფრო პრინციპული და საქმიანი გახდა კრიტიკა და თვითკრიტიკა, რეგულარულად ამოწმე...

საქმე და სპეციალისტი

სურათზე: კომუნისტი მერაბ რუაძე.

ზ. კრიხაძის ფოტო.

პროფესიის სიყვარულით

კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი

...

3. გოზალიშვილი.

ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ

ბ. გაბაძე,
მინსკის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეცნიერი თანამშრომელი.

ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ

მ. გორბილაძე.

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

საბჭოთა კავშირი, რომელიც წრფელ სახიერთო მიზნებს ისახავს, აქტიურად ესწრაფვის მშვიდობის დამკვიდრებას, საყოველთაო ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებას, სრული და საყოველთაო განიარაღების მიღწევას. ეს აზრი ხაზგასმით აღინიშნება სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გამოსვლებში, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების მასალებში, რომლებიც განმარტავენ ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს პასუხს ირლანდიელი საზოგადო მოღვაწის შ. მაკბრაიდის მიმართვაზე.

კ. უ. ჩერნენკოს პასუხში, წერს ირლანდიის „აირიშ ტაიმსი", საგანგებოდ არის ნათქვამი, რომ ბირთვული შეიარაღების შემდგომი ზრდა, მით უმეტეს, გამალებული შეიარაღების კოსმოსზე გავრცელების მისწრაფება კაცობრიობას საყოველთაო ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებს. საბჭოთა კავშირს სურს კარგი ურთიერთობა იქონიოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ ამისათვის ვაშინგტონის ადმინისტრაციას განსაკუთრებული კონკრეტული ღონისძიებანი, რათა შეაჩეროს გამალებული შეიარაღება, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო. ვაშინგტონი ბევრს ლაპარაკობს მშვიდობისა და მოლაპარაკების შესახებ, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პრაქტიკული მოქმედება ეწინააღმდეგება ვაშინგტონში გამოცხადებულ მოლაპარაკების მისწრაფებას.

ისეთ პირობებში, როდესაც ... დებანი მშვიდობისა და მოლაპარაკების შესახებ სულაც არ მოწმობს მისი პოზიციის შეცვლას. მოსკოვი იმის მომხრეა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა უკეთესობისაკენ შეიცვალოს. მაგრამ ასეთი შემობრუნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ვაშინგტონში ამას შეეცდებიან არა სიტყვით, არამედ საქმით.

კ. უ. ჩერნენკოს პასუხისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს პრესკონფერენციაზე, რომელიც ეკვადორის დედაქალაქ კიტოში გამართა სსრ კავშირის დელეგაციამ. დელეგაცია ამ ქვეყანაში ჩამოვიდა პრეზიდენტის ხელისუფლების გადაცემისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. პრესკონფერენციის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ სსრ კავშირი მზად არის განავითაროს და განამტკიცოს ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, ...

ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲪᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲐ

ვაშინგტონი. თეთრი სახლი სრული დუმილით თავს არიდებს იმ საყოველთაო აღშფოთებას, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ცინიკურმა გამოხდომამ გამოიწვია როგორც თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ამ გამოხდომამ გამოააშკარავა ამერიკის ადმინისტრაციის მეთაურის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ჩვენი დროის საკვანძო საკითხებისადმი. როგორც ენ-ბი-სის ტელეკომპანია აღნიშნავს, „ბევრის აზრით, საბჭოთა კავშირის დაბომბვის დაწყების განზრახ...

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

„მაფია ვერ იბოგინებს!", „ალკვეთოს ორგანიზებული დამნაშავეობა!" — ასეთი ლოზუნგით იმართება იტალიის ბევრ ქალაქში მასობრივი მანიფესტაციები, რომლებშიც მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

დემონსტრანტები მოითხოვენ ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ორგანიზებული დამნაშავეობის აღსაკვეთად.

სურათზე: „მაფიის წინააღმდეგ" — წარწერილია იტალიის საზოგადოებრიობის ტრანსპარანტზე.

საკდესის ფოტო.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ: ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

დროდადრო გაისმის ვაშინგტონის სიტყვიერი მტკიცებანი, თითქოს მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება ქიმიური იარაღის აკრძალვის საკითხზე, მაგრამ ამ მტკიცებათა მიზანი სინამდვილეში მხოლოდ ის არის, რომ შენიღბოს ქიმიური იარაღის არსენალების გადიდების გეგმები, რო... ჰერვი, ათიათასობით საავიაციო ბომბი, ასიათასობით ნაღმი და ფუგასი. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ქიმიური იარაღის დიდი საწყობები აქვს არა მარტო თავის ტერიტორიაზე, არამედ სხვა ქვეყნებშიც. მათ შორის დასავლეთ გერმანიაში. ამერიკის შეერთებული შტატების ...

როგორ ვხვდებით სტუმრებს?

ზუნიბამ უხვად დააჯილდოვა საქართველო. მისმა კლიმატურმა პირობებმა, სამკურნალო წყლებმა, შავი ზღვისპირეთის ხავერდოვანმა პლაჟებმა რესპუბლიკას სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერის სახელი მოუპოვეს. ყოველწლიურად ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოდის ათასობით დამსვენებელი, ტურისტი, საქართველოს კურორტებზე, რათა გაიკაჟონ ჯანმრთელობა, კარგად დაისვენონ. ათობით დაწესებულებისა და ორგანიზაციის ზრუნვის საგანია სტუმართმოყვრულად შეხვდნენ მათ, შეუქმნან სრულფასოვანი დასვენების პირობები.

რამდენად წარმატებით ართმევენ თავს ისინი ამ ამოცანებს, განსაზღვრავს რესპუბლიკური მტაბი, რომელიც კონტროლს ...

იმუშავეს ქამ- თა იარებს...

... თვის მტკვრის ციხე იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ მის ნანგრევებზე (1746 წელს) ახალი ციხე აუგიათ და აღმშენებლის, სახლთუხუცეს კონსტანტინეს სახელის მიხედვით „კონსტანტილაზათი" უწოდებიათ. ...

მამხილებელი სპექტაკლი

... ლელმა, გ. კაკაბაძემ, ნ. ბარამიძემ, ო. ურუშაძემ, ო. კუტალაძემ, რ. სარიშვილმა და სხვებმა.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო სპექტაკლი, რომელიც ცხოვრების მრავალ მანკიერ მხარეს ამხილებს.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-66-47 სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-16; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-86; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

ჯანმრთელობის ცენტრი

ციმბირის მზიან ღამეთა სითბო

...

ე. ბალსაროვა,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

წიგნის თარო

ბორჯღალი. ტრიო. შოთა მეტრეველები
МАРГАРИТА, НЕЛЛИ, ШОТА МЕТРЕВЕЛИ

სიცოცხლე გრძელდება

ЖИЗНЬ ПРОДОЛЖАЕТСЯ

„ხელოვნება" გამომცემლობა „ХЕЛОВНЕБА" ТБИЛИСИ

„სიცოცხლე გრძელდება" — ასე ეწოდება გამომცემლობა „ხელოვნების" მიერ ახლახან გამოცემულ ფერად ალბომს, რომელიც ასახავს მხატვართა ოჯახის — მეტრეველების შემოქმედებას.

ალბომში თავმოყრილია ახლახან ცხოვრებიდან წასულ ცნობილ ხელოვანთა, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრების მარგარიტა და შოთა მეტრეველების მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე შექმნილ ფერწერულ ტილოთა რეპროდუქციები, რომლებიც ცხადყოფენ ამ შესანიშნავ მხატვართა თავდადებულ სიყვარულს საკუთარი პროფესიისადმი.

„მეტრეველების თითოეულ კომპოზიციაში თუ თემატურ სურათში, ისტორიულ თუ საყოფაცხოვრებო ...

ქართველ მუსიკოსთა გასტროლები

ბელგრადი, 16 ივლისი. (საქინფორმი). დუბროვნიკის ხელოვნების საზაფხულო ფესტივალზე, რომელიც ... გახდა საქართველოს კამერული ორკესტრის კონცერტი ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით. ტრადიციისამებრ ქალაქ დუბროვნიკში ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან იკრიბებიან ხოლმე მუსიკოსები, მსახიობები და მხატვრები.

თბილისელ მუსიკოსთა ვირტუოზულმა დაკვრამ, რომლებიც დუბროვნიკის ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზში გამოვიდნენ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდხანს გრიალებდა ტაში, რომლითაც მადლიერმა მსმენელებმა დააჯილდოვეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლიანა ისაკაძე და მევიოლინე სიმონ გონაშვილი, როცა მათ შეასრულეს მოცარტის, გლუკის, მენდელსონის ნაწარმოებები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თანამედროვე საბჭოთა კომპოზიტორის ა. შნიტკეს ნაწარმოებმა „კონცერტო გროსომ".

ქართული კამერული ორკესტრის ტურნე იუგოსლავიაში დამთავრდა ქალაქ ნოვი-სადში გამოსვლით. აქ, ისევე როგორც ორხიდში, დუბროვნიკში, ზაგრებსა და ლუბლიანაში, სადაც მან კონცერტები გამართა, თბილისელებმა უდიდესად მხურვალე მიღება მოუწყვეს.

მასპინძლობს ტურბაზა

...

ყაზახი „მოგზაური — 84"

...

სატურნირო ორბიტა

... მთელ ტურში მთელი გამარჯვება მოიპოვა ალტმულმა და ახლა ანგარიშია 5,5:2,5 მის სასარგებლოდ. მატჩის დარჩენილ 4 პარტიაში საკმარისია ალტმულმა კიდევ ნახევარი ქულა წაამატოს თავის აქტივს და იგი შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

მოსკოვი

17 ივლისი

...

ჩვენი ტელეეკრანზე

თბილისი

...

რედაქტორის მოადგილე
გ. ნამყევბია

საქართველოს სსრ ლვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ტომსკის ღვინის ქარხნის დირექტორი

კონსტანტინე ვასილის ძე ჯაბიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.